


მეგობარი


გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კპ.

ნ.ს. მ. მალაზონიანი



— რა მეგობარი ხსენებთ ხარ, კაცო!
— ამდენი მეგობარს შეგხედავარა, აბა, როგორ ვიყენებო?

მ. მ.



— ამ პასს მესამე მანქანა გამოყავს და ყოველთვის გელნიერი ნომრები აქვს!
— გელნიერი კი არა, სკლეროზი აქვს და ნომრების დამახსოვრება უჭირს.

— ეს ამხანაგები კომუნისტები ვახლავან, ბატონო...
— მეორე ფრთხილად უნდა მიმოვალ ფელეტონს.
— თქვენ დაინებით მოითხოვთ კოლმეურნე ავთანდილ წითლის პასუხისგებაში მიცემას, რისთვის?
— ქურდობისათვის. ავთანდილ წითლიძეს თავის მეუღლესთან ერთად ღამის ორ საათზე კოლმეურნეობის ფერმიდან 36 კონა ჩალა მიქონდა ურმით. მოგვხმე თანასოფლელებს და ქურდები დავაკავეთ. ვაცნობეთ მილიციას. ეს ფაქტი აისახა ავრეთვე ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზეც. რად გინდა მერე, ბოროტმოქმედი დაუსჯელი დარჩა.
— თქვენ უკანონო მოქმედებისათვის უჩივით კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს კოტე აბესაძესა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მამია ურიადმყოფელს. როგორ ადასტურებთ მათზე წაყენებულ ბრალდებებს?
— შეამოწმეთ და...
— შემოწმებამ ასეთი სურათი დაგვიბატა:
ქვემო საზანოს სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობის მიერ ჩაბარებული ყურძნის ღირებულების მისაღებად 1972 წელს გაცემულია 147 მინდობილობა. აქედან 33 მინდობილობა გაცემულია თვით სასოფლო საბჭოს მუშაკებზე. მათ


ქამიჭირს, მკოავი მიჭიხს...

— ჯაბა ინტრიგანი კაცია, არაფერი დაუჭეროთ! — თამაჯერბელი კილოთი ჩამაწვეუთეს ყურში ზოგიერთებმა, როცა ჯაბა გაბოს ძე სამანიშვილის საჩივრის შესამოწმებლად ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას ვეახლე, — საჩივრების ჯაბანის მეტს არაფერს აცეთებს, კოლმეურნეობაში.
ფელეტონისთვის პირველი დეტალი ჩავინიშნე ბლოკნოტში.
— მაგ სალახანამ ვის უნდა უჩივლოს, როცა თავად ათასი ცოდვა აწვევს კისერზე! რომელი ერთი ვთქვით... ჯერ იყო და, მაგ სინდისისგან გაცლილმა უკანონოდ შეივსო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,25 ჰექტარამდე. მერე იყო და, ერთ-ერთი გაუქმებული კომლის საკარმიდამო მიწის ფართობზე მოწყული მოსავალი თვითონ შეიტყაპუნა, აქაო და, მიწა ჩემზე იყო გაპიროვნებულიო. შემდეგ ამის, ერთ პატიოსან კოლმეურნეს ღამის ციხეში ამოაყოფინა თავი რაღაც ერთი ფინჩხა ჩალოსათვის. ბოლოს მოდგა და საჩივრების თითხნას მიჰყო ხელი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისა და მშრომელი ადამიანების მიმართ. მეტი გზა აღარ იყო, ადგნენ და კინწისკერით გამოაბურძლევს ბრიგადიდან. ღირსი არ იყო თუ?

— აი, რა სწერია აქ, — განთავისუფლდეს № 1 ბრიგადის ბრიგადირიდან ჯაბა გაბოს ძე სამანიშვილი ბრიგადაში მიწით სარგებლობის წესების უხეშად დარღვევისათვის. — ამაზე რას იტყვი? მე მეგონა ჯაბა თუ არ გალურჯდებოდა, ვაწითლდებოდა მაინც. მან ჯერ მწარედ ვაიციონა, მერე ტკბილად მომმართა:
გთხოვთ ეს დოკუმენტი გადაათვალიეროთ.
„ოქმი № 15 ქვედა საზანოს კოლმეურნეობის 1967 წლის 25 მარტის საერთო კრებისა... ჯაბა სამანიშვილი ფლობს 0,05 ჰექტარ

შვილი გამოირჩევა შრომაში წარმატებებით. გირჩევთ თქვენი 1967 წლის 25 მარტის საერთო კრების თანახმად შეუვსოთ მას საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,25 ჰექტარამდე. საწარმოო სამმართველოს უფროსი.“
ჩემს მომავალ ფელეტონს ცალი ფრთა შეეკვცა.
— თქვენ გაპიროვნებული გქონდათ გაუქმებული კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. რა უყავით ამ ნაკვეთზე შიღებული მოსავალი? პასუხის ნაცვლად ჯაბამ ქაღალდების დასტა დამიდო მაგიდაზე.

შორის თავმჯდომარეზე — 8, მღვიანზე — 4, ფინაგენტზე — 21. ნოტარიულ წიგნში კი გატარებულია მხოლოდ 67 მინდობილობა, რომლებიც სრულიად ვერ ასაბუთებენ, თუ ვინ არიან ამ დოკუმენტების მიმღები პირნი. უფრო მეტიც, გაფორმებულ საბუთებზე ხელმოწერები არ არსებობს.
კოლმეურნეობის გამგეობამ ჯერ იდეგ 1971 წლის სექტემბერში ჩამოართვა კოლმეურნე შ. აბესაძეს უკანონოდ მითვისებული 0,27 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომლითაც დღემდე სარგებლობს მიმთვისებელი. თვითნებურად მიითვისეს, შემოღობეს და პირად სარგებლობაში აქვთ კოლმეურნეობის კუთვნილი მიწის ფართობები ლ. კობახიძეს, გ. გიორგაძეს, ა. საყვარელიძეს, ა. ქვათაძეს და სხვებს.
ჯაბამ ახლა უკვე მოკრძალებით, გაუბედავად გადმოცა რამდენიმე ფურცელი. ბეჭედდასმულმა დახასიათებებმა, ოფიციალურმა სტატისტიკურმა ცნობებმა ჩემს წინ დააყენა სოფლის ისეთი მოწინავე მშრომელი, რომელზედაც სულ-მოუთქმელად შეიძლება დაწერო ნარკვევი, პოემაკ კი. მართო ეს ციფრი რად ღირს: სასოფლო საბჭოს მრავალჯობის დეპუტატს, მოწინავე კოლმეურნეს ჯაბა სამანიშვილს 1962 წლიდან 1973 წლამდე გამოიმუშავებული აქვს 3.251 შრომადღე.
მერე და რა? ქურდების, მტაცებლების მხილებისათვის, თავდადებული შრომისათვის ბრიგადირიდან გადააყენეს, შეურაცხვეს და გაათხეს იგი. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავახსენდეს ლეგენდარული სტრიქონები: „დამიჭირეს, მკლავი მომჭირეს, რატომ კარგი ავიცია“.



მიწის ნაკვეთს. მოითხოვს მის შევსებას 0,25 ჰექტარამდე. მას, როგორც მოწინავე ბრიგადირს და ავტორიტეტულ კოლმეურნეს, ადემრას შუამდგომლობა მიწის შევსების შესახებ.“
ჯაბამ ოქმი მეორე ქაღალდიც მოაყოლა:
„ქვედა საზანოს კოლმეურნეობის გამგეობას. ზესტაფონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველო ვაცნობებთ, რომ თქვენი კოლმეურნე ჯაბა სამანი-

ის სხვადსხვა პირთა ახსნა-განმარტებებს წარმოადგენდა. მათი მოკლე შინაარსი ასეთი იყო: „ჯაბა სამანიშვილზე გაპიროვნებულ მიწის ნაკვეთზე აღებული სასილოსე ხიმიანი ჩემი თანდასწრებით იქნა აღებული, რომელიც მოთავსებული იქნა კოლმეურნეობის სასილოსე ორმოში“. ამ დოკუმენტებს ხელს ზწერდნენ კოლმეურნეები იური კობახიძე, ბიჭიკო კობახიძე, ბორის გიგაშვილი, ალექსანდრე ფირჩხაძე, ადამ ქვათაძე.

(იუმორესკა)

პოლიბრონიონოვიჩი დილადრიან ყავას მიირთმევდა. დროდადრო საათს დაჰყურებდა. მისი ცოლი სამსახურში დაგვიანებდას საოცარი ამბებით უქარწყლებდა.

— ჩემო პალიკო, აი, ეს იაპონური ჯემპრი თურთმეტ საათზე ბავშვთან სკოლაში რომ მივდიოდი, მაშინ გამოიტანეს, ბედზე ვიყიდე! კარგია? — შეეკითხა ცოლი.

— კი, — მოზრდილი ნამცხვრის გადასანსვლით დაეთანხმა პოლიბრონიონოვიჩი.

— აი, ეს ინგლისური ჩანთა, ორ საათზე ჩვენი ზურიკო ინგლისურიდან რომ მომყავდა, საშინელ თავპირისმტკრევაში ვიყიდე. ნახე, რამდენი განყოფილება აქვს! — ცოლმა ინგლისურ ჩანთაში თავი ჩააყოფინა ქმარს.

— ორიგინალურია! — ემოციაში მოვიდა პოლიბრონიონოვიჩი.

— უი, სულ მაგიწყვდებოდა, ოთხ საათზე, ბაზრიდან რომ გბრუნდებოდი, მაღაზიაში გერმანულ ჰალსტუხებზე ხალხი თავს იხრჩობდა, მარა, შენი ხათრით, ხომ იცი... და აგურ, თავისი ცხვირსახოცით გიყიდე.

— კარგია, კარგი! — სკამიდან წამოფრინდა პოლიბრონიონოვიჩი და სამსახურში წავიდა.

პოლიბრონიონოვიჩი აკადემიური სიმშვიდით მოთავსდა კაბინეტში. შუბლს და ლოყებს სახინკლე ცოშივით იხელავდა. მისი მშვენიერი კმაყოფილება კაბინეტში შემოსულმა მისმა თანამშრომელმა დაარღვია. პოლიბრონიონოვიჩს სახე ტიკივით გაებზრა, კრიმინალისტის მზერა სტყორცნა თანამშრომლის ტანსაცმელს. „იაპონური ჯემპრი... აა, ჩემმა ცოლმა გუშინ, თურთმეტ საათზე შეიძინა... არა, ნამდვილად იაპონური ჯემპრი აცვია!“, და სკამიდან წამოხტა:

— სად იყავით გუშინ, თურთმეტ საათზე?

— ბპატივცემულო, დედა... მამა... მმმ...

— გაუფორმეთ საყვედური! — მერე მდივანს გაცემული შეაშტერდა, რომელსაც მხარზე გადაეკიდა ჩანთა. დააკვირდა... „ინგლისურის მასწავლებელი... ინგლისური ჩანთა... აჰა, ორ საათზე მაღაზიაში!“, — აანალიზებდა პოლიბრონიონოვიჩი.

— შენ სადღა იყავი ორი საათიდან სამ საათამდე?

— იცით... მმმ... გუშინ... მმმ... — ინგლისურ ჩანთას აწვალვებდა მდივანი.

— შენთვისაც დაწერე საყვედურის ბრძანება!

— თქვენ მეძახდით? — შეეკითხა ეკონომისტი.

— კი, ამათ ბრძანების მიხედვით გაცდენილ სამუშაო დროზე ხელფასიდან დაუკავეთ ფული... — ალუღლუღდა პოლიბრონიონოვიჩი იმის შემდეგ, რაც მისი თვალები ეკონომისტის ლოქოსავით გაბეყილ ჰალსტუხზე დაერჭო. „ოთხი საათი!!! გერმანული ჰალსტუხი... ზუსტად ასეთია!“ საქმე იდუმალ გახსნა, მერე კი იბღავლა:

— სად იყავი გუშინ, ოთხ საათზე?

— მმმ... მმმ... ოთხი...

— ამასაც გაუფორმე საყვედური! — მიმართა მდივანს.

კორიდორში კი ბუღალტერი სასოწარკვეთილი ვიშვიშებდა:

— როდემდის უნდა იყოს ეს ენის მიტანა ამ ჩვენს დაწესებულებაში?

ავთანდილ აღეიზვილი

ქალ ნიანგო!

მე ნამდვილ ამბავს გიყვები, არა შოგონილ არაკსა: რომ ყუმბარებით გადათხრილს ჰვავს ჩვენი სოფლის შარავზა.

დარია?! — მტვერი დაგახრჩობს მანქანის მალაყ-მალაყში, წვიმს? — ზურაბივით ეფლობა მგზავრი ყელამდე ტალახში.

ათი წელია, რაც ასფალტს სიტყვით გვიგებენ ადვილად, (მათი „სიტყვა და საქმე“ ხომ მისაბაძია ნამდვილად!) ათი წელია მოხრეშვას და შეეკეთებას ვუნდებით.

მაგრამ რა?! მოვა ტრაქტორი თავის ფოლადის კუნთებით, ისევ გადახნავს, დაფარცხავს და ზედ დათესავს „ნაწილებს“...

გვიშველე, ძმაო ნიანგო, ეს ჰირი მაინც გვაცილე!

ვანის რაიონის სოფელ მთისძირის (ჭავჭავის) მცხოვრებთა სახელით
აბაპი თევზაძე



— კი მაგრამ, ახმალა ფართობზე სულ საჯამტრო დათმ-სოთ, პატივცემულო აბრონომო?
— ვა! მე საჯამტრო მიყვარს და...



— რას შვრები, კაცო?
— ცოლ-შვილს შვირის ვუზავანი, ახა უფრო მაღა მიღის.



— გაღვიშირეთ ქალიშვილის ქალაქში გავაზავა?
— კირიქით, თამაჯდომარამ გვიღდა ღაინახოს, ეგამ ცნობა მოგვსუს უმაღლესინათვის.

ჩემი მეგობარი ჟორა დიდი ჩხირკედელა კაცია. დაბრუნდება თუ არა ელექტრონული აპარატურის ქარხნიდან, სადაც ამწყობად მუშაობს, მიუჯდება თავის გამოგონებებს და საათობით უკირკიტებს.

გადაწყვიტე სწორედ ჟორასთან მივსულიყავი და გადმომენტხია ჩემი ბოლმა, რომელიც დამიგროვდა მას შემდეგ, რაც შეფმა ჩემს ნაცვლად ნაფტალინოვი აირჩია.

კონკურსი რთული იყო (რადგან ის ადგილი ახალგაზრდა ეკონომისტისთვის მეტად სახარბიელოა: ხელფასი თითქმის მეცნიერების დოქტორის ოდენი, სამუშაო პერსპექტიული, ინსტიტუტი ავტორიტეტული.)

ექვსნი რვა პრეტენდენტიდან გამოვარდნენ და შეფმა მე და ნაფტალინოვი გამოგვიძახა თავის კაბინეტში და სავარძლებში ჩავსვა, ყველაფერი გულანდილად და დაწვრილებით განგვიმარტა.

— თქვენ, — გვითხრა მან, — ჩემს თვალში სრულიად განურჩეველი ხართ. მე დეტალურად გავეცანი თქვენს მიერ წარმოდგენილ შრომებს და ორივეთი კმაყოფილი დავრჩი. ახლა კი ერთი დილემის წინაშე ვდგავარ: ვინ ავირჩიო? ამიტომ გთავაზობთ შემდეგს: მოვაწყობთ აი ახლავე, ყოველგვარი მომზადების გარეშე, პატარა გასაუბრება და ყველაფერი ნათელი გახდება. გასაგებია?

მე ოდნავ დავფიქრდი და ვუპასუხე:

— კარგი!

ნაფტალინოვმა კი დუმილი არჩია... თუმცა დაწვრილებით ამ საბედისწერო საუბრის შესახებ შემდეგისთვის იყოს.

შეფმა, როგორც თქვენ უკვე მოგესენებათ, აირჩია ნაფტალინოვი. მე კი ისე გამოვედი, რომ არც გამოვემშვიდობე, რადგან უკვე ყველაფერი ფეხებზე მეკიდა და პირდაპირ ჟორასთან წავედი.

მისი თექვსმეტმეტრიანი ოთახი ავსებული იყო გამოგონებებით, რითაც წარმოება არავითარ ხეირს არ ნახულობდა.

ჟორა მისმენდა და თან რაღაც პორტსიგარისმაგვარ აპარატს ჩაკირკიტებდა. როდესაც მე ყველაფერი იუამზე, ჟორამ თანაგრძნობით მითხრა:

— ნუ განიცდი, ვიდრე სტატუსმმართველობაში დაბრუნდებოდე, შენი დრო ისევ დადგება. ახლა კი საჭიროა დარღის გაქარვება.

მე შევეპასუხე, რომ უკვე ათისნახევარია და ის განყოფილება გასტრონომში დიდი ხანია რაც დაიკეტა. ჟორამ გადაიხარხარა, თვალი ჩამიკრა, დააჭირა თითი „პორტსიგარის“ რომელიღაც ლილაკს და გაქრა.

ქრონიკა

ქმანქანა

ნა

მართალი გითხრათ, მეწყინა. ნახა ვართობის დრო! ეს მანქანა მან უკვე სამი კვირის წინ გამოიგონა: იგი უჩინმაჩინს ხდიდა კაცს. და, რა თქმა უნდა, ქარხანამ იგი უარპყო, როგორც წარმოებისთვის გამოუსადეგარი.

— ჟორე! — დავიძახე გაბრაზებულმა. — საქმე შემოგვლია? ვერა ხედავ რა ხასიათზე ვარ?

მან არ მიპასუხა და მე კარისკენ წავედი, მაგრამ გამომგონებელი იმ წამსვე იქ გაჩნდა და მაგიდაზე საზეიმოდ დადგა ერთი ბოთლი „ექსტრა“.

ეს მართლაც სასწაულს ჰგავდა. ჟორამ ამიხსნა, რომ არაფერი აქ ზებუნებრივი არ არის და რომ მან უბრალოდ გადააკეთა თავისი გამოგონება დროის მანქანად და ახლა უბრუნდებოდა სამი საათით წარსულს, რათა ეყიდა გადასახუნი, ვიდრე ღვინის განყოფილება არ დაიკეტებოდა.

უცხად ჟორამ ჩემი სასმისი აიღო.

— მოიცა, მოიცა... ესე იგი, შენ ზუსტად გახსოვს რომელ საათზე დაიწყეთ თქვენი გასაუბრება. კარგი. მაშინ გავმზავებ რაღაც წარსულში! ახლა გაიხსენებ ყველა სიტყვა იმ გაიძვერასი... რა გვარია?



— ნაფტალინოვი! — სიხარულით წამოვიყვირე მე. — შენი ჭირიმე, ჟორა, მოდი ერთი გაცოცო!

თმები დავივარცხნე, პალსტუხი შევისწორე და დროის მანქანა ჩავრთე.

— ...ყოველგვარი მომზადების გარეშე, — ამთავრებდა თავის სიტყვას შეფი, — პატარა გასაუბრება და ყველაფერი ნათელი გახდება. გასაგებია?

ამჯერად ხმა არ ამოგვიღია არც მე და არც ნაფტალინოვს. მაგრამ მე განზრახ ჩავახველე, რის გამოც შეფმა შემომხედა ჯერ მე. მან დაინახა მოკლე, უმცირესი ტევადობის ღიმილი. იგი გამოხატავდა დაახლოებით შემდეგს: „რა თქმა უნდა, გასაგებია, რადგან თქვენ ასე გენებავთ, ახლა კი რატომ დავკარგოთ ძვირფასი დრო. მე ყურადღებად ვარ ქცეული...“

შეფის მზერაში მოწონება გამოსჭვივოდა. არა, ბიჭო, განა პირველ ტურში ასევე არ გაიღიმა ნაფტალინოვმა? მე შტერი კი ვერც მივხვდი, რომ გამოცდა უკვე მიდიოდა და, თქვენ წარმოდგინეთ, ვინებე და გამოვთქვი ჩემი თანხმობა, ისე რომ შეფასებაც კი მივეცი „კარგი!“ მართლა, კიდევ კარგი, რომ არ ვთქვი „ცუდია!“

ასე რომ, პირველი რაუნდი მოვიგე!

— აბა, ახალგაზრდებო, — განაგრძო დაკითხვა შეფმა, — რას მეტყვიით ქალებზე?

— ქალები... — გავაგრძელე ზომიერად და, მეტი ლირიზმი რომ შემეტანა, ხმაც კი ავიკანკალე. — თუ კი ხელს არ გვიშლიან მუშაობაში!..

შეფმა მეოცნებესავით მიიღო ხელი ლოყაზე და სასმენად გაინახა, მე კი წარბშეუხრებლად ვაგრძელებდი ნაფტალინოვის ციტირებას, რომელსაც განცვიფრებისგან მეტყველების უნარი დაკარგოდა. ჩემი კონკურენტის თვალეში გაიელვა ჯერ პატარა ალექვებამ, მას მოჰყვა აშკარა დაბნეულობა, შემდეგ დაუფარავი შიში, და, ბოლოს პანიკური შეძრწუნება...

დაისვა უკანასკნელი შეკითხვა, რასაც ჩემი მტკიცე პასუხი მოყვა. შეფი ფიცხლად წამოხტა სავარძლიდან, მე ღირსეულად ვუპასუხე მის ხელის ჩამორთმევას, იგი შებრუნდა ნაფტალინოვისკენ, გულსტიკივლით გაშალა ხელები... და მაშინ ჩემმა მეტოქემ გამოსცრა:

— სულ დამავიწყდა, თქვენ მოკითხვა გადმოგცათ ნინა შალვოვანამ...

მე წავედი გამოუმშვიდობებლად, რადგან ყველაფერი ფეხებზე მეკიდა.

ჟორასთან ერთად ვსვი. შემდეგ იგი ორჯერ გადავიდა წარსულში. თუმცა, რაც მართალია მართალია, მეორედ მხოლოდ ლუდი მოიტანა.

7
1973

ნახ. ზ. ლომიძის

73-461

საქართველო
ბიზნისი

Индекс 76137

